საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულება

თბილისი 2014 წელი

სარჩევი

თავი I - ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. რეგულირების სფერო
მუხლი 2. სამართლებრივი საფუძვლები
მუხლი 3. ტერმინთა განმარტება
მუხლი 4. ამ დებულებით დადგენილი ვადების ათვლა

თავი II - ამომრჩეველთა რეგისტრაცია

მუხლი 5. ამომრჩეველთა ერთიანი სია და მისი ფორმირების წესი

თავი III - საარჩევნო სისტემა

მუხლი 6. საარჩევნო უბნები
მუხლი 7. არჩევნების ჩატარების სისტემა

მუხლი 8. ხმის მიცემის სისტემა
თავი IV - საარჩევნო ადმინისტრაცია

მუხლი 9 საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა
მუხლი 10. საარჩევნო კომისიის შემადგენლობა
მუხლი 11. საარჩევნო კომისიის წევრის უფლება-მოვალეობანი
მუხლი 12. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა
მუხლი 13. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა
მუხლი 14. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი
მუხლი 15. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები
მუხლი 16. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება
მუხლი 17. საარჩევნო კომისიის აპარატი
თავი V -საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია

მუხლი 18. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია (კრიტერიუმები)
მუხლი 19. სტუდენტური ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაცია

თავი VI - არჩევნების დაფინანსება

მუხლი 20. არჩევნების დაფინანსება

თავი VI - კენჭისყრა

მუხლი 21. კენჭისყრის დრო და ადგილი

მუხლი 22. საარჩევნო ბიულეტენი
მუხლი 23. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები

მუხლი 24. დამკვირვებლები
მუხლი 25. დამკვირვებელთა რეგისტრაცია
მუხლი 26. საარჩევნო უბნის გახსნა
მუხლი 27. საარჩევნო ბიულეტენის გაცემა

მუხლი 28. კენჭისყრის ჩატარება
მუხლი 29. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვა
მუხლი 30. საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები
მუხლი 31. საარჩევნო ყუთის გახსნა
მუხლი 32. ხმის დათვლა
მუხლი 33. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი
მუხლი 34. განცხადებები და საჩივრები კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე

მუხლი 35. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება-საარჩევნო კომისიაში
თავი VII - დასკვნითი დებულებები

მუხლი 36. მანდატის მიკუთვნება

თავი VIII - გარდამავალი დებულებები

მუხლი 37. არჩევნების ჩატარების თარიღი

არჩევნები ტარდება 2014 წლის 21 მაისს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულება

თავი I - ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს დებულება ადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) ფაკულტეტების მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების წესს, არჩევნებში მონაწილე პირთა უფლებებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დავის განხილვის წესს.

მუხლი 2. სამართლებრივი საფუძვლები

სტუ–ს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს არჩევნების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონი ”უმაღლესი განათლების შესახებ”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება, მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის დებულება, მოცემული დებულება და ამ დებულების ფარგლებში შექმნილი საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) არჩევნები – სტუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არჩევის პროცესი;

ბ) საარჩევნო უფლება – აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება;

გ) აქტიური საარჩევნო უფლება – სტუდენტის უფლება მიიღოს მონაწილეობა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში;

დ) პასიური საარჩევნო უფლება – სტუდენტის უფლება, კენჭი იყაროს ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად;

ე) საარჩევნო რეგისტრაცია – შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ სტუდენტური ორგანიზაციების რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად;

ვ) საარჩევნო სუბიექტი – ამ დებულების საფუძველზე რეგისტრირებული კანდიდატი.

ზ) საარჩევნო ადმინისტრაცია – ამ დებულების საფუძველზე შექმნილი საარჩევნო კომისია;

თ) წინასაარჩევნო კამპანია – საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;
ი) წინასაარჩევნო აგიტაცია – სტუდენტებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად;
კ) განმეორებითი კენჭისყრა – კენჭისყრა, რომელიც განმეორებით იმართება იმ საარჩევნო უბანში (უბნებში), რომელშიც (რომლებშიც) ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგი;
ლ) არჩევნების დასასრული – საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული არჩევნების საბოლოო შედეგების (განმეორებითი კენჭისყრის ჩათვლით) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნება;
მ) არჩევნების დღე (კენჭისყრის დღე) – საერთო ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე;
ნ) საარჩევნო დოკუმენტაცია – საარჩევნო კომისიაში შესული და საარჩევნო კომისიიდან გასული განცხადებები, საჩივრები, წერილები, საქმიანი ქაღალდები, ოქმები, საარჩევნო ბიულეტენები, სპეციალური კონვერტები, საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები, საკონტროლო ფურცლები, სარეგისტრაციო ჟურნალები, ამომრჩეველთა სიები და სხვა დოკუმენტაცია;
ო) სარეგისტრაციო ჟურნალი – ზონარგაყრილი წიგნი, რომლის ზონარიც ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერს საარჩევნო კომისიის მდივანი და დაესმევა საარჩევნო კომისიის ბეჭედი. მისი ყველა გვერდი დანომრილია და ახლავს საარჩევნო უბნის ნომერი;
პ) საბუთების შეფუთვა – საბუთების იმგვარად შეკვრა ან ყუთში ჩაწყობა, რომ შეკვრის (ყუთის) დალუქვის შემდეგ ლუქის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს შეკვრიდან (ყუთიდან) რაიმეს ამოღება ან მასში რაიმეს ჩადება;
ჟ) ლუქი – ქაღალდის ზოლი, დაწებებული საარჩევნო მოწყობილობის, საბუთების შესაფუთი ყუთის, საბუთების შეკვრის, სარეგისტრაციო ჟურნალის, კენჭისყრის დღის გახსნის ადგილებზე, რომელზეც აღინიშნება დალუქვის თარიღი და დრო და რომელსაც ხელს აწერენ ამ დებულებით განსაზღვრული პირები;
რ) სტუდენტური საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც უფლება აქვს წარადგინოს ფაკულტეტზე სავალდებულო თვითმმართველობის კანდიდატთა რაოდენობის შესაბამისად
ს) ერთ ბლოკად წარმოდგენილი ორგანიზაციათა გაერთიანება;
ტ) ამომრჩეველი – სტუდენტი რომლის მონაცემებიც შეტანილია ამომრჩეველთა სიაში.
უ) ორგანიზაციების მანდატების დაკომპლექტების პროპორციული სისტემა - ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი მანდატები კომპლექტდება მათ მიერ მოპოვებული ხმების პროპორციულად. (პროპორციული გათვლის შედეგად წილადი რიცხვების მიღების შემთხვევაში დამრგვალება ხდება მათემატიკური პრინციპით).

მუხლი 4. ამ დებულებით დადგენილი ვადების ათვლა

ამ დებულებით დადგენილი ყველა ვადა, მათ შორის, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე, გულისხმობს კალენდარულ დღეებს (საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით).

თავი II - ამომრჩეველთა რეგისტრაცია

მუხლი 5. ამომრჩეველთა ერთიანი სია და მისი ფორმირების წესი

1. ამომრჩეველთა ერთიანი სია არის ამ დებულებით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე სტუდენტთა სია, რომელიც წარმოდგენილია ფაკულტეტებისა და კურსების მიხედვით.
2. ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეტანილ უნდა იქნეს სტუდენტის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:
ა) გვარი, სახელი, პირადი ნომერი;
ბ) ფაკულტეტი;
გ) საარჩევნო უბანი და მისი ადგილმდებარეობა, რომელშიც აძლევს ხმას.
3. ამომრჩეველთა ერთიან სიაში სტუდენტის მონაცემები შეტანილ უნდა იქნეს მისი ფაკულტეტის მიხედვით.
4 საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ერთიანი სიის კომპიუტერულ დამუშავებას.
5. ამომრჩეველთა ერთიანი სია შედგენილი უნდა იქნეს ფაკულტეტების დეკანატების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
6. საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. არჩევნებამდე 5 დღით ადრე საარჩევნო კომისია ვალდებულია გამოაკრას ამომრჩეველთა სიები შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებთან.
7. თუ სტუდენტის მონაცემები არ იქნება ან არასწორად იქნება დაფიქსირებული ამომჩეველთა სიაში, არჩევნების დღეს სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს საარჩევნო კომისიას დამატებით სიაში შეყვანის ან ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის გასწორების მოთხოვნით. საარჩევნო კომისიას სტუდენტმა უნდა წარუდგინოს:
ა) ცნობა მისი ფაკულტეტის დეკანატიდან იმის შესახებ, რომ ის ნამდვილად ირიცხება შესაბამის ფაკულტეტზე;
ბ) პირადობის მოწმობა, აკადემიური მოსწრების წიგნაკი ან სტუდენტური ბილეთი.

თავი III - საარჩევნო სისტემა

მუხლი 6. საარჩევნო უბნები

არჩევნების ორგანიზებისათვის საარჩევნო უბნები იყოფა ფაკულტეტების მიხედვით შექმნილ არანაკლებ რვა საარჩევნო უბნად.

მუხლი 7. არჩევნების ჩატარების სისტემა

არჩევნები ტარდება შერეული სისტემით (პროპორციული და მაჟორიტარული)

მუხლი 8. ხმის მიცემის სისტემა

1. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს არა უმეტეს ერთ საარჩევნო სუბიექტს (საინიციატივო ჯგუფს, სტუდენტურ ორგანიზაციას ან დამოუკიდებელ კანდიდატს)
2. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ფაკულტეტის სტუდენტთა შემადგენლობის მინიმუმ 1/4.

თავი IV - საარჩევნო ადმინისტრაცია (ცენტრალური და საფაკულტეტო საარჩევნო კომისია)

მუხლი 9. საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა

1. საარჩვნო კომისია წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციას, რომელიც ამ დებულებით განსაზღვრულ ფარგლებში უზრუნველყოფს სტუ–ს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას.
2. ცენტრალური საარჩევნო კომისის წევრთა რაოდენობა უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრისაგან და შემადგენლობა დგინდება მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის მიერ დამსწრე წევრთა უბრალო ხმათა უმრავლესობით არჩევნების ჩატარებამდე მინიმუმ 20 დღით ადრე და სტუ-ს შებამისი ბრძანებით დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.
3. ცენტრალური საარჩევნო კომისია უზრუნველყობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარებას, ხოლო საფაკულტეტო საარჩევნო კომისია ყველა ფაკულტეტისთვის, უზრუნველყოფს უბნების მიხედვით არჩევნების ჩატარებას.
4. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დანიშნულ იქნეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე სტუ–ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრთა მინიმუმ 2/3–ის წარდგინებით, სტუ–ს თანამშრომელი რექტორის წარდგინებით, სტუდენტი სტუ–ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრთა მინიმუმ 2/3–ის წარდგინებით კომისიის წევრთა ერთი კანდიდატის დასახელების უფლება, სურვილის შემთხვევაში ასევე აქვს ამ დებულების განხილვაში და სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს თუ მას მხარს დაუჭერს მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრთა უმრავლესობა.
5. საფაკულტეტო (საუბნო) საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დანიშნულ იქნეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე სტუ–ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრთა მინიმუმ 2/3–ის წარდგინებით, სტუდენტი სტუ–ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრთა მინიმუმ 2/3–ის წარდგინებით კომისიის წევრთა ერთი კანდიდატის დასახელების უფლება სურვილის შემთხვევაში ასევე აქვს ამ დებულების განხილვაში და სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს

თუ მას მხარს დაუჭერს მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრთა უმრავლესობა.
5. ამ დებულებით დადგენილი წესით, საარჩევნო კომისია ქმნის საარჩევნო უბნებს.
6. საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში დამოუკიდებელია.

მუხლი 10. საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

1. ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრისაგან, რომელიც დაკომპლექტებულია ამ დებულების მე–4 თავის მე–9 მუხლის ქვეპუნქტების მიხედვით გათვალისწინებითებული ნორმების შესაბამისად.
2. საარჩევნო კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნისა და კომისიის წევრებისაგან.
3. საუბნო საარჩევნო კომისი რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის თითო უბანზე არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრისაგან.
4. საფაკულტეტო (საუბნო) საარჩევნო კომისიები, არჩევნების დღეს უბნებზე უზრუნველყოფენ არჩევნების ჩატარებას. საუბნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, რეგისტრატორისა და კომისიის სხვა წევრების შემადგენლობით.

მუხლი 11. საარჩევნო კომისიის წევრის უფლება-მოვალეობანი
1. საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია კომისიის წევრად დანიშვნის დღიდან მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.
2. საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან ხელი მოაწერონ კენჭისყრის ან არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ხოლო თუ კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლებამოსილია აღნიშნულის თაობაზე მიუთითოს ხელმოწერის გასწვრივ და განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს წერილობით.
3. საარჩევნო კომისიის წევრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და ამ დებულებას. აკრძალულია საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით.

მუხლი 12. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა
1. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღიდან და წყდება ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე.
2. კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება კომისიაში მისი შემცვლელი წევრის არჩევისთანავე.

მუხლი 13. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. ცენტრაულრი (საუნივერსიტეტო) და საუბნო (საფაკულტეტო) საარჩევნო კომისიის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
კომისიის წევრს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:

ა) პირადი განცხადებით;
ბ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 1 კვირის განმავლობაში საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეუსრულებლობის ან არასაპატიო მიზეზით საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენის შემთხვევაში.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, მდივნები თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდებიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.
3. აკრძალულია საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრამდე 5 დღით ადრე.

მუხლი 14. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი

1. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.
3. საარჩევნო კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მოიწვევა რიგგარეშე სხდომა.
4. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
5. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
6. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
7. სხდომაზე საკადრო საკითხები წყდება კომისიის სრული შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით.
8. სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
9. სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან 1 დღის ვადაში.
10. საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის ოქმს.
11. განცხადების (საჩივრის) მიღებისას საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალსა და განმცხადებლისთვის (მომჩივნისთვის) გადაცემულ ცნობაში აღინიშნება მისი მიღების თარიღი და დრო. კომისია განიხილავს განცხადებას (საჩივარს) და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

12. კომისიის მიერ გაცემული საბუთის მიღებას განმცხადებელი ადასტურებს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.

მუხლი 15. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები

1. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტებია:
ა) საარჩევნო კომისიის დადგენილება;
ბ) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება;
2. საარჩევნო კომისიის, თავმჯდომარის ბრძანება არის ინდივიდუალური აქტი, რომელიც მიიღება და გამოიცემა მისი კომპეტენციის ფარგლებში. საარჩევნო კომისიის დადგენილებას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. კომისიის დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
3. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტების შესრულება სავალდებულოა არჩევნებში მონაწილე ყველა პირისათვის.

მუხლი 16. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება
1. საარჩევნო კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:
ა) უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, აკონტროლებს ამ დებულების შესრულებას;
ბ) თუ შეუძლებელი გახდა ამ დებულებით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება და ვადების დაცვა, უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს საარჩევნო ღონისძიებები და მათი ვადები; ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, სტუ–ს რექტორს წარუდგინოს წინადადება ახალი არჩევნების თარიღის დანიშვნის თაობაზე;
გ) უზრუნველყოფს საარჩევნო საბუთების, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიის ბეჭდის დამზადებასა და საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;
დ) ამ დებულებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს;
ე) ამტკიცებს განმეორებითი კენჭისყრის დღეს;
ვ) საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საარჩევნო უბნიდან, კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნის, საარჩევნო ბიულეტენების ან სპეციალური კონვერტების ხელახლა დათვლის, ასევე ამომრჩეველთა სიების გადამოწმების შესახებ;
ზ) საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე ადგენს სტუ-ის ფაკულტეტების მიხედვით ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს და დადგენილებით სრული შემადგენლობის ორი მესამედით ამტკიცებს შემაჯამებელ ოქმს;
თ) ანიჭებს დამკვირვებლის სტატუსს;
ლ) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას;

ი) განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;
კ) ადგენს ამომრჩეველთა ერთიან სიას, ახდენს მის კომპიუტერულ დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის ინტერნეტში განთავსებას;
ლ) ატარებს წილისყრას კანდიდატებისათვის ნომრის მისანიჭებლად
მ) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
2. საარჩევნო კომისია უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით სტუ–ს რექტორს წარუდგენს არჩევნების ბიუჯეტს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 15 დღით ადრე.

მუხლი 17. საარჩევნო კომისიის აპარატი
1. არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება შეიქმნას საარჩევნო კომისიის აპარატი.
2. აპარატის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებას განსაზღვრავს საარჩევნო კომისია.

თავი V -საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია

მუხლი 18. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია (კრიტერიუმები)
1. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სტუ–ში მოქმედ ნებისმიერ სტუდენტურ ორგანიზაციას რომლის ყველა დამფუძნებელი არის სტუ-ს სტუდენტი, ნებისმიერ სტუ-ს სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს და ნებისმიერ სტუ-ს სტუდენტს, რომელიც გაივლის რეგისტრაციას ამ დებულების მიხედვით.

მუხლი 19. სტუდენტური ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაცია (კრიტერიუმები)
1. სტუდენტურმა ორგანიზაციამ ან საინიციატივო ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს შესაბამის ფაკულტეტზე სტუდენტთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 10% სტუდენტთა ხელმოწერები, (პირადობის მოწმობის ან სტუდენტური ბილეთის ნომრით) რომლებიც ეთანხმებიან ამ სუბიექტების მონაწილეობას არჩევნებში და ფაკულტეტის თვითმმართველობაში მოსახვედრად უნდა გადალახონ საარჩევნო სუბიექტებისათვის (სტუდენტური ორგანიზაცია ან საინიციატივო ჯგუფი) დაწესებული 5% ბარიერი.
2. დარეგისტრირებულმა სუბიექტმა პროპორციული სისტემისათვის თავისი ნიშნის ქვეშ უნდა წარადგინოს კანდიდატების არაუმეტეს ორმაგი რაოდენობა იმ რაოდენობისა რამდენი მანდატიც არის საარჩევნო უბანზე (ფაკულტეტზე) გამოყოფილი.
3. მაჟორიტარი კანდიდატები რეგისტრირდებიან ინდივიდუალურად, მათ რეგისტრაციის გავლის მიზნით საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ

ფაკულტეტის სტუდენტების 5%-ის ხელმოწერები, (პირადობის მოწმობის ან სტუდენტური ბილეთის ნომრით) რომლებიც ეთანხმებიან ამ კანდიდატის მონაწილეობას არჩევნებში და ფაკულტეტის თვითმმართველობაში მოსახვედრად უნდა გადალახონ მაჟორიტარი კანდიდატებისათვის დაწესებული 3% ბარიერი.

თავი VI - არჩევნების დაფინანსება

მუხლი 20. არჩევნების დაფინანსება

1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს აფინასებს უნივერსიტეტი დადგენილი წესით დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში საარჩევნო კომისიას გამოუყოს შესაბამისი თანხა.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით საარჩევნო კომისიას უფლება აქვს მიიღოს გრანტი.
4. აკრძალულია არჩევნების ორგანიზებისათვის საარჩევნო კომისიის მიერ გამოყენებული იქნეს სხვა თანხები.

თავი VI - კენჭისყრა

მუხლი 21. კენჭისყრის დრო და ადგილი

1. საარჩევნო კომისია (უბანი) იხსნება დილის რვა საათზე. კენჭისყრა იწყება დილის ცხრა საათზე და სრულდება საღამოს ექვს საათზე.
2. კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის ოთახის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა. კენჭისყრის ოთახის დროებით ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების (ისევე, როგორც შემდგომ კენჭისყრის ოთახის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების) გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის. კენჭისყრის ოთახის დროებით ჩაკეტვისა თუ კენჭისყრის შეჩერებისთანავე საარჩევნო კომისია ვალდებულია დაადასტუროს ან გააუქმოს კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კომისია უფლებამოსილია კენჭისყრის შეჩერების შემდეგ მიიღოს კენჭისყრის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს კენჭისყრის ოთახის დროებითი ჩაკეტვის, კენჭისყრის შეჩერების ან მისი შეწყვეტის მიზეზი და დრო. ოთახის ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით იღება კენჭისყრის ოთახი და განახლდება კენჭისყრა. თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა, იგი აღარ განახლდება. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია თავისი დადგენილებით

შეცვალოს კომისიის თავმჯდომარის ამ პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებები.
3. ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.
4 კენჭისყრა ტარდება რვა საარჩევნო უბანზე სპეციალურად მომზადებულ საარჩევნო ადგილას.

5. კენჭისყრის ოთახში:
ა) ფარული კენჭისყრისთვის უნდა მოეწყოს კაბინები. რაოდენობას და ფორმას განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
ბ) უნდა გამოიყოს ადგილები ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო ბიულეტენების დამოწმებისთვის;
გ) თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგეს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი;
დ) თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ამომრჩეველთა სიები, კანდიდატთა სიები და საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.
6. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას კენჭისყრის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.
7. პასუხისმგებლობა კენჭისყრის მომზადების, ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფისა და კენჭისყრის ოთახის ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად მოწყობისათვის ეკისრება საარჩევნო კომისიას.

მუხლი 22. საარჩევნო ბიულეტენი
1. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების საფუძველზე, განსაზღვრული ნიმუშის მიხედვით, ბიულეტინები ფაკულტეტების მიხედვით შეიძლება დაიბეჭდოს სხვადასხვა ფერად.
2. საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვასა და საარჩევნო ყუთის დამზადებას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია, ბიულეტენები იბეჭდება საარჩევნო კომისიის მიერ უფლებამოსილ პირთა და დამკვირვებელთა მუდმივი მეთვალყურეობით. ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) საარჩევნო კომისიის დადგენილებით დანიშნულ კომისიის 2 წევრსა და რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, ასევე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე წარადგენენ არა უმეტეს 3 დამკვირვებელს.
3. სათანადო დადგენილების მიღებიდან 2 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისია აქვეყნებს მონაცემებს საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადების ადგილის შესახებ, აგრეთვე ბიულეტენების დაბეჭდვასა და ყუთების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირების თაობაზე.

4. ბიულეტენების დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი პირადად აგებს პასუხს, რომ დაბეჭდილი და საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული ბიულეტენების რაოდენობა ზუსტად შეესაბამებოდეს დაკვეთილ რაოდენობას.
5. საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის პირადად აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და რეგისტრატორი, რომელიც ბიულეტენის გაცემას ადასტურებს ხელმოწერით.
6. საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული თითოეული სახის საარჩევნო ბიულეტენი თანამიმდევრობით ინომრება.
7. საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებს კენჭისყრის დაწყებამდე 1 საათით ადრე გადასცემს საარჩევნო უბნებს.
8. საარჩევნო ბიულეტენზე აღნიშნული უნდა იყოს:
ა) არჩევნების დასახელება და არჩევნების ჩატარების თარიღი;
ბ) ფაკულტეტის დასახელება და ნომერი;
გ) საარჩევნო უბნის ნომერი ბიულეტენის ყუასა და საკუთრივ საარჩევნო ბიულეტენზე;
დ) საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.
9. საარჩევნო ბიულეტენზე აღნიშნული უნდა იყოს:
საარჩევნო კომისიის წევრის – რეგისტრატორის ხელმოწერის ადგილი;
10. საარჩევნო სუბიექტის არჩევნებიდან მოხსნის შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში, სუბიექტის სახელის გასწვრივ მიეთითება _ „არჩევნებიდან მოხსნილია“.
11. საარჩევნო ბიულეტენი წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას. კენჭისყრის დღეს აკრძალულია კენჭისყრის შენობიდან მისი გატანა ან განადგურება.
12. საარჩევნო ბიულეტენი ფაკულტეტების მიხედვით შესაძლოა იყოს სხვადასხვა ფერის.

მუხლი 23. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები
1. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები აისახება საარჩევნო უბნების შემაჯამებელ ოქმებსა და საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში.
2. შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი აქტი. ოქმის ყველა ეგზემპლარს ერთნაირი ძალა აქვს.
3. აკრძალულია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება. ასეთი ოქმი ბათილია. თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა, მის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმში, შესაბამისი მონაცემის გასწვრივ, მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“ და საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც აღინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის შესწორება და ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო. ამ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება სხდომას, ოქმს დაესმება კომისიის ბეჭედი, გატარდება კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში და

დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც შეტანილი მონაცემები იქნა შესწორებული.
4. საარჩევნო კომისიაში ოქმების შენახვისათვის პირადად აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

მუხლი 24. დამკვირვებლები
1. თითოეულ საარჩევნო უბანზე დაკვირვების უფლება აქვთ იმ სუბიექტების თითო წარმომადგენელს, რომლებიც კენჭს იყრიან ფაკულტეტის თვითმმართველობაში და ამ დებულებით დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან საარჩევნო კომისიაში.
2. დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის – დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს კონკრეტულ საარჩევნო უბანში ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა.

მუხლი 25. დამკვირვებელთა რეგისტრაცია
1. რეგისტრაციაში გატარების მიზნით ორგანიზაციის დამკვირვებელმა განცხადებით უნდა მიმართოს საარჩევნო კომისიას არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 5 დღისა და წარუდგინოს თავისი წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ ფაკულტეტების დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია განახორციელებს დაკვირვებას. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში გადაწყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.
2. საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. საარჩევნო კომისიის დადგენილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.
3. საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია, დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი დღისა რეგისტრაციაში გაატაროს ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს.
4. დამკვირვებლის მოწმობაში მითითებული უნდა იყოს:
ა) დამკვირვებლის გვარი, სახელი;
ბ) წარმდგენი ორგანიზაციის სახელწოდება;
გ) იმ ფაკულტეტის დასახელება (დასახელებები), სადაც უნდა განახორციელოს დაკვირვება.

მუხლი 26. საარჩევნო უბნის გახსნა

1. საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 9.00 საათზე, რაც გახსნისთანავე უნდა ეცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

მუხლი 27. საარჩევნო ბიულეტენის გაცემა

1. საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენს გასცემს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, პირადობის მოწმობის ან პასპორტთან ედრთად, აკადემიური მოსწრების წიგნაკის, სტუდენტის ბილეთის ან შესაბამისი დამადასტურებელი ცნობის (ცნობა დეკანატიდან) წარდგენის შემთხვევაში.

2. კენჭისყრის დღეს ყოველ ამომრჩეველზე გაიცემა ერთი საარჩევნო ბიულეტენი.

3. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფებში შეიტანება ან დადასტურდება აკადემიური მოსწრების წიგნაკის ან სტუდენტის ბილეთის პირადობის მოწმობის ნომერი. ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემას ადასტურებს რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

4. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

მუხლი 28. კენჭისყრის ჩატარება

1. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად სტუდენტური ბილეთის, აკადემიური მოსწრების წიგნაკის ან შესაბამისი დამადასტურებელი ცნობის (ცნობა დეკანატიდან) წარდგენის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის მოწმობა ან პასპორტი. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად,

2. ამომრჩევლის სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველთა სიაში მისი მონაცემების ნომრის შეტანის შემდეგ ხელის მოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის მიღებას. ბიულეტენის გაცემისას რეგისტრატორი ხელს აწერს ბიულეტენის წინა გვერდზე სათანადო გრაფასა და ამომრჩეველთა სიაში;

3. ბიულეტენის მიღების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს საარჩევნო ბიულეტენს ამ დებულების შესაბამისად დადგენილი წესით. ბიულეტენის შევსების შემდეგ ამომრჩეველმა ის ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

4. შემდგომ ამომრჩეველი ათავსებს ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და ტოვებს კენჭისყრის ოთახს;

5. საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა იკრძალება;

6. საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთზე ზედამხედველი კომისიის წევრი. მას დახურული უნდა ჰქონდეს ბიულეტინის ჩასაგდები ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს;

7. კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩასაგდები ჭრილი.

8. თუ ამომრჩეველს ან საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი , მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, წაეწერება „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.
9. თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.
10. კენჭისყრის ოთახი იკეტება 6 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავს რიგში მდგომი ამომრჩევლების გვარსა და სახელს, რომელთაც შეუძლიათ არჩვნებში მონაწილეობა.

მუხლი 29. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვა
1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის.
3. დაუშვებელია კენჭისყრის ოთახში შეიარაღებულ პირთა შესვლა.
4. თუ კენჭისყრის ოთახში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლები ან პოლიციის მუშაკები. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის ოთახს.

მუხლი 30. საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები
1. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით კომისიის წევრებისგან წილისყრით შეარჩევს არანაკლებ სამ დამთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს ორ მეთვალყურეს (თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდნენ, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე).
2. დამთვლელები თანმიმდევრულად ითვლიან ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას. შედეგები საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში, რის შემდეგაც ცალ-ცალკე შეფუთავს და დალუქავს ერთიანად.
3. დამთვლელები შემდეგი თანმიმდევრობით ითვლიან და პაკეტებად კრავენ:

ა) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს, რომელთა რაოდენობა საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში. პაკეტზე იწერება გამოუყენებელ ბიულეტენთა რაოდენობა;
ბ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს, რომელთა რაოდენობა საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში, პაკეტზე იწერება გაფუჭებულ ბიულეტენთა რაოდენობა.
4. თითოეულ პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.
5. პაკეტები უნდა დაილუქოს და მათ ხელი უნდა მოაწერონ დამთვლელებმა და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.

მუხლი 31. საარჩევნო ყუთის გახსნა
1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას.
2. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევა, საარჩევნო კომისიის დადგენილებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და გადაეცემა საარჩევნო კომისიას.
3. დამთვლელები საარჩევნო ყუთში არსებულ საარჩევნო ბიულეტენებს ათავსებენ განცალკევებით მდგომ მაგიდაზე, ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და ადარებენ მას საარჩევნო კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს. თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა საარჩევნო კომისიას. თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, დამთვლელები საარჩევნო ყუთიდან გადმოყრიან საარჩევნო ბიულეტენებს, და იწყებენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას.

მუხლი 32. ხმის დათვლა
1. საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებს ითვლის შემდეგი წესის დაცვით:
ა) დამთვლელები საარჩევნო ბიულეტენებს აწყობენ;
ბ) ცალკე ეწყობა დაუდგენელი ნიმუშის და დამთვლელების მიერ ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები.
2. დამკვირვებელთაგან გამოვლენილი მეთვალყურე აკვირდება დათვლის მთელ პროცედურას,.
3. დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:
ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერით;
ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტებს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

ვ) საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისათვის.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები და მათ ეწერება „ბათილია“, რასაც ხელს აწერენ დამთვლელები და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ეს ბიულეტენები პაკეტად იკვრება და მათ რაოდენობას საარჩევნო კომისიის მდივანი დაუყოვნებლივ აღნიშნავს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, სხვა საარჩევნო უბნისათვის განკუთვნილი ბათილი ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკვრება და მათი რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ სარეგისტრაციო ჟურნალში.

მუხლი 33. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი
1. ამ დებულებით განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ კომისიის მდივანი საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
2. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:
ა) არჩევნების დასახელება;
ბ) საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი;
გ) კენჭისყრის თარიღი (განმეორებითი კენჭისყრის შემთხვევაში – ეს გარემოებაც);
დ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა;
ე) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);
ვ) მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
ზ) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
თ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
ი) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
კ) საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტებისათვის და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობა;
ლ) შესაბამის საარჩევნო უბნებში არჩეულ პირთა ვინაობა;
მ) ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა (საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობისა და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობის ჯამი);
ნ) საჩივრების ჩამონათვალი (წარმდგენის ვინაობა, მიღების დრო);
ო) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;
პ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი“ და ხელს აწერს მას);
ჟ) ოქმის სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის თარიღი და დრო (აღინიშნება ოქმის გაცემისას);
რ) ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა მონაცემები.
3. საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანში. ოქმი უნდა დამოწმდეს საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
4. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

5. განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
6. თითოეულ საარჩევნო უბანზე ფორმდება შესაბამისი შემაჯამებელი ოქმი.

მუხლი 34. განცხადებები და საჩივრები კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე
1. განცხადება (საჩივარი) საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ შედგენილი უნდა იქნეს ამ დებულების დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის დილის 9 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.
2. განცხადებაში (საჩივარში) აღინიშნება:
ა) განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;
ბ) განმცხადებლის (მომჩივნის) სახელი, გვარი და ფაკულტეტი;
გ) საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი;
დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
ე) მოწმის არსებობის შემთხვევაში, მისი სახელი, გვარი და ფაკულტეტი;
ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში, მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;
ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.
3. განცხადება (საჩივარი) კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ უნდა გადაეცეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან კომისიის მდივანს, რომელიც დაარეგისტრირებს მას სარეგისტრაციო ჟურნალში, ხოლო განმცხადებელს გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების (საჩივრის) კომისიაში მიღების თარიღი და დრო.
4. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე (საჩივარზე) და აღმოფხვრას არსებული დარღვევა ან დასაბუთებული უარი განაცხადოს მის შესრულებაზე.
5. საარჩევნო კომისიის ჟურნალი იხურება კომისიის მდივნისა და კომისიის წევრთა ხელმოწერით და მოწმდება საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

6. საარჩევნო კომისიის ჟურნალი და შემოსული განცხადებები (საჩივრები) ილუქება ცალ-ცალკე და იკვრება ერთ პაკეტად.
7. საარჩევნო კომისიის ბეჭედი ილუქება ცალკე პაკეტში. პაკეტს ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის სხვა წევრები.

მუხლი 35. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება-საარჩევნო კომისიაში
1. საარჩევნო კომისია უბნების მიხედვით შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, ამ დებულების დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა აჯამებს არჩევნების შედეგებს, ადგენს უნივერსიტეტის თვითმართველობის არჩევნების შედეგებს ფაკულტეტების მიხედვით და ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

2. აკრძალულია საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება საარჩევნო დავების დასრულებამდე და მიღებული გადაწყვეტილებების სრულად გათვალისწინების გარეშე.
3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს სულ ცოტა სტუდენტთა სრული რაოდენობის ¼, წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ხელახალი არჩევნების ჩატარებას არჩევნების ჩაშლილად გამოცხადების შემთხვევაში დაინიშნოს იმ სასწავლო პერიოდში, როცა სტუდენტთა აქტიურობა იქნება მაღალი.
4. საარჩევნო კომისიის დადგენილებით სრული შემადგენლობის ორი მესამედით ამტკიცებს კენჭისყრის (არჩევნების) შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
6. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება არჩეული პირის (არჩეულ პირთა) ვინაობა.
7. თუ საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო კენჭისყრის შედეგები საარჩევნო უბანში ამ უბანში (უბნებში) იმართება განმეორებითი კენჭისყრა.
8. საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის (არჩევნების) შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ოქმი დამოწმდება საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
9. თუ საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმში აღნიშნოს, რას არ ეთანხმება, და ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.
10. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლს (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), რომელიც დამოწმებულ უნდა იქნეს საარჩევნო კომისიის ბეჭდითა და თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით, აგრეთვე დადგენილებებს საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებების შეტანის შესახებ (თუ ასეთი ცვლილებები იქნა შეტანილი) დაუყოვნებლივ გადასცემს სტუ-ის ადმინისტრაციას.

თავი VII - დასკვნითი დებულებები

მუხლი 36. მანდატის მიკუთვნება

1. საარჩევნო ბარიერი სტუდენტური ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის დადგენილია მინიმუმ არჩევნებში მონაწილეთა 5%
2. საარჩევნო ბარიერი მაჟორიტარ I კანდიდატებისათვის დადგენილია მინიმუმ არჩევნებში მონაწილეთა 3%
3. ფაკულტეტების მიხედვით დადგენილია მანდატების შემდეგი რაოდენობა:
ა) ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი _ 158 მანდატი
ბ) სამშენებლო ფაკულტეტი _ 148 მანდატი
გ) სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი _ 140 მანდატი
დ) არქიტექტურისა და ურბანისტიკის ფაკულტეტი _ 46 მანდატი
ე) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი –120 მანდატი
ვ) ბიზნეს -ინჟინერინგის ფაკულტეტი - 242 მანდატი
ზ) ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 266 მანდატი

თ) სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი _ 78 მანდატი

მუხლი 37. უნივერსიტეტის თვითმმართველობის პირველი სხდომა.

1. ფაკულტეტის თვითმმართველობა იკრიბება არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 1 კვირის ვადაში

2. ფაკულტეტების მიხედვით ფაკულტეტის საბჭოში თვითმმართველობის წევრთა წარმომადგენლობა განისაზღვრება შემდეგი რაოდენობით:

ა) ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი _ 79 მანდატი

ბ) სამშენებლო ფაკულტეტი _ 74 მანდატი

გ) სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი _ 70 მანდატი

დ) არქიტექტურისა და ურბანისტიკის ფაკულტეტი _ 23 მანდატი

ე) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 60 მანდატი

ვ) ბიზნეს -ინჟინერინგის ფაკულტეტი _ 121 მანდატი

ზ) ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი _ 133 მანდატი

თ) სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი _ 39 მანდატი

თავი VIII, გარდამავალი დებულებები

მუხლი 38. არჩევნების ჩატარების თარიღი

არჩევნები ტარდება 2014 წლის 21 მაისს